საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამკლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი [illegible] მანეთი

კვირა, ოქტომბრის 30
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაიხსნება საქ. სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიის ყრილობა

სალამი ამხანაგ დელეგატებს

ღია ბარათი

> „როცა სამშობლო აღარ არსებობს, ღირსეული მოქალაქე უნდა მოკვდეს“.
>
> **ნაპოლეონ I.**

დღეს, საქართველოს დედა ქალაქში, ტფილისში, შევიკრიბებით პარტიის I ყრილობაზე. დღეს ყრილობას ჩაბარებს თავის ანგარიშს და მანდატებს დროებითი მთავარი კომიტეტი, რომელმაც მეტად საპასუხისმგებლო, მეტად მძიმე და რთული როლი ითამაშა.

რვა თვის განმავლობაში განაგრძობდა დროებითი მთავარი კომიტეტი მუშაობას. ნდობის ვოტუმი, რომლითაც პარტიამ აღჭურვა დრ. მთავარი კომიტეტი, წარმოუდგენლად ძნელ პირობებში უნდა გაეხორციელებია კომიტეტს, ერთი წუთითაც არ ჩამორჩენოდა მიმდინარე ცხოვრებას თუმცა ყველამ იცოდა ის საშინელი ატმოსფერა, რომელშიაც მოუხდებოდა მუშაობა კომიტეტსა და რომელსაც ქმნიდა უმთავრესად მენშევიზმი.

მენშევიზმი არის ძალა, რომლის დამარცხება მეტად ძნელია. მას ხშირად ის ვაქცინაც ვერ სპობს, როგორც არის ბოლშევიზმი. სოციალისტ ფედერალისტთა პარტიას ისტორიული წარმოდგენა აქვს მენშევიზმის ძალაზე და თუ იგი პარტია დღესაც იმავე გზას ადგია, რა გზასაც წინათ იდგა, თუ მენშევიზმი ისე გვებრძვის დღეს, როგორც გვებრძოდა სახლში,—აშკარაა ჩვენ ორივენი ის ვართ, რაც ვიყავით.

ეს ყველასათვის აშკარაა დღეს.

ჩვენთვის საქართველოს პრობლემა ერთი უმთავრესი საკითხი იყო. დღესაც არის. მენშევიზმისათვის საქართველოს პრობლემა მუდამ უმცირესი საკითხი იყო. დღესაც ასე არის.

რუსეთიდან განდევნილმა მენშევიზმმა საქართველოში დამოუკიდებლობა „აღიარა!“—ეს დამოუკიდებლობა მენშევიზმმა უკვე დაივიწყა, როგორც კი საქართველოს გაშორდა.

მე XVIII საუკუნეში ლიუდოვიკო მე XIV ამბობდა: „სახელმწიფო მე ვარ“. მეოცე საუკუნეში საქართველოში რამიშვილი ამტკიცებდა: „საქართველო ჩვენ ვართ!“ და მართლაც, ყველგან, სადაც მენშევიკური პარტია არ უნდა იყოს, რაც არ უნდა სთქვან, რაც არ უნდა გააკეთონ—ყოველივე ის გამოაქვთ ქართველი ხალხის სახელით. ეხლა, პარიზში, საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფა გამოაქვთ ქართველ ხალხის სახელით.

ყრილობას მეტად რთულ პირობებში უწევს მუშაობა. დღეს სრულიად არ არის გარკვეული ის კონტურები, რომლითაც შეიძლებოდეს გამორკვევა საქართველოს უახლოესი მომავლისა. ყოველ შემთხვევაში მომქმედ პოლიტიკურ ჯგუფებს მეტი დომბალი შეაქვთ ამ საქმეში, ვიდრე სინათლე და გასაგები ენა.

სახელმწიფო მარტო ტერიტორია და აბსტრაქტული თეორია კი არ არის ედმონდ პიკარის სავარჯიშოთ, არამედ იმ ცოცხალ ძალების თანხმობაც, რომელსაც ხალხი ჰქვიან. როცა ბურები იბრძოდნენ, ჩვენ ვხედავდით, რომ კრიუგერი იმასვე ამბობდა, რასაც დევეტი, ბოტა იმას იმეორებდა, რასაც შტეინი. ასევე იყო ამერიკაში გიორგი ვაშინგტონი [illegible] და [illegible] სმიტთან ქმნიდა ამერიკის ეროვნულ პოლიტიკას, ხოლო იტალიაში კარბონარის ქსელს ნახავთ, როგორც მაძინის საზოგადოებაში, ისე [illegible] თანხმობაში.

ჩვენში სრული ქაოსი და [illegible]ლობაა. ძალა პატრონს ვეღარ სცნობს. პროგრამები დაფხრეწილია, მიზნები დავიწყებული, გრძნობა ყველგან გამეფებული ცივი გონების და მსჯელობის მაგიერ.

გარეგნული სურათი: არსად იმდენს არ ყვირიან ერთზე, რამდენსაც ჩვენში, ყველას კი დაავიწყდა, რომ ერისთვის ერთობლივი მუშაობაა საჭირო და არა დაყოფილი.

დღეს არ შეგვიძლიან წუთის დაკარგვა შრომის გარეშე, არც ერთი ქართველის დატოვება უსაქმოდ. მდგომარეობა კი თანდათან უარესდება ეროვნულის თვალსაზრისით, უმთავრესად იმიტომ, რომ ბეჯითი, ნდობითი მუშაობის მაგიერ ფართო მასაში ვრცელდება უნდობლობა, უიმედობა, შური და მძულვარება.

მენშევიზმი, რომელიც საბედისწეროდ გადაეკიდა საქართველოს თავისი პარტიული ინტერესებით, დათვურ სამსახურს უწევს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. პარტია, რომელიც უსაფუძვლო იმედით კვებავს უცხოეთიდან თავის ძალებს, საქართველოში აღრმავებს ხელისუფლებასა და მასსას შორის წინააღმდეგობას და ამ დამარღვეველს მუშაობაში ჰპოებს იგი (მენშევიზმი) სამშობლოს სამსახურს. ნამდვილად კი ეს ანტაგონიზმი მთავრობასა და მასსას შორის დღევანდელს პირობებში საქართველოში უდიდესი უბედურებაა ხალხისათვის.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთხელ და სამუდამოთ: ყოველ ქართველის ყოველ ალაგას დიდის ხალხით ჩნდება რუსი, ებრაელი, სომეხი, თათარი, ასირიელი, ბერძენი, ბოში და სხვა. ეროვნული მომენტი მეტად დიდ სირთულეს ქმნის ჩვენთვის და არ უნდა დაგვავიწყდეს, ასეთ პირობებში მასსას და მთავრობას შორის ანტაგონიზმი ხდება ანტაგონიზმად მთავრობასა და ქართველობას შორის, ჩვენ ვებრძვით ასეთს მდგომარეობას.

ჩვენთვის აშკარაა: საქართველოს საკითხი, როგორც ყოველ სახელმწიფოს პრობლემა საერთაშორისო საკითხია, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ყოველი საერთაშორისო პოლიტიკა სწორი და სასარგებლო პოლიტიკაა. პატარა ერების პოლიტიკა არსებითად გარკვეულ [illegible] პოლიტიკაა. დღემდე მენშევიზმი და მეორე ინტერნაციონალი იმიტომ დამარცხდა, რომ ის ვერ აჰყვა სოციალისტურ რევოლიუციის ორიენტაცია, რომელიც იმარჯვებს სისტემატიურად და იგი მენშევიზმი [illegible] ბედს გინ წლებს მომავალში იმიტომ, რომ მისი ორიენტაცია არ არის ცხოვრების ორიენტაცია. ჩვენ მარტო იმიტომ კი არ დავუკავშირეთ საქართველოს ბედი საბჭოთა ძალაუფლების ბედს, რომ ეს იყო ჩვენი სურვილი, არა, იმიტომაც, რომ ეს ერთად ერთი სწორი და სასარგებლო პოლიტიკაა ქართველი ხალხისათვის.

ყოველს პოლიტიკაში მაკიაველიზმია ჩათესილი და თუ მივიგონებთ, რომ მაკიაველი ფლორენციაში დაიბადა—გასაგები იქნება ისიც თუ რანაირი ერი წარმოშობს ხოლმე მაკიაველისტურ პოლიტიკას. მხოლოდ კეთილშობილ ადამიანს, გონება მახვილს და მძლავრ ჯგუფს შეუძლიან მაკიაველიზმის სულს მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების წარდგენა ჩვენ შეგვიძლია პიროვნებისათვის, ჯგუფისათვის, ხალხს მას ვერ მოვთხოვთ,

ხალხი აუცილებლად უნდა შეიგნოს მდგომარეობას: მენშევიზმს კი ფეხებზე ჰკიდია ეს სიმართლე და ჩვენი ხალხიდან მოითხოვს გაჰყვეს პარტიას, რომელიც თან და თან იხლართება ავანტიურის ქსელში.

ჩვენ საბედისწერო მომენტში ვცხოვრობთ საქართველოსათვის—ნუ ემყარებით ევროპის ბურჟუაზიის ძალებს. ისტორიამ არ იცის მაგალითი ტერიტორია დაკარგულ მთავრობისათვის ჯარების მიცემისა ინტერვენციისათვის. ბურებს ორი წელიწადი აქებდა ცხიერად ევროპამ, გარდა იმისა, რომ გერმანელი „ჰოხ“-ს იძახდა, ხოლო ფრანგი „ვივატ“-ს უბედურმა ბურებმა ვერაფერი მიიღეს. ნუ თუ შეიძლებოდა მენშევიზმის შემოსვლა საქართველოში ფრანგების მხრებზე ისე, როგორც ლიუდოვიკო მე-XVIII შევიდა პარიზში პრუსაკების და რუსის ჯარის მხრებზე?—სხვა გზა არ არსებობს, ეს—სამარეა ადამიანობის, ეს სიკვდილია სოციალიზმის. ეს—ყველაფრის გამასხარავებაა და ამიტომაც ჩვენ ყველას ვარწმუნებდით:—ისტორია იმას კი არ ქმნის, რაც შენ გსურს, ისტორია ადამიანს ათამაშებს თავის ყაიდაზე. ისტორია ულმობელი და სასტიკია, ხიშტებზე წამოგებულ გვამებს ის ისევ ხვდება, როგორც თარზე მოქეიფე ბაქუსს და მისთვის სულ ერთია პეტრარკას ჰანგები ეარშიყება ლაურას თუ ჯალათის ხელი მიემართება კარლოს სტიუარტისაკენ.

ჩვენს საქმეებს ჩვენვე უნდა მოვკიდოთ ხელები. გაიგეთ ყველამ ეს პატარა ჭეშმარიტება თუ მართლა გიყვართ სამშობლო!

უდიდესი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უფრო მაღალია ვინემ პოლიტიკა თუ გნებავთ ლოიდ-ჯორჯის და ლენინისა არის პოლიტიკა შემდეგი: ხალხის მასსამ პირდაპირ ხელი მოკიდოს აღშენებლობას, ხელი მოკიდოს ერთგულად და ყოველივე სოცნებო ზღაპრებს თავი გაანებოს.

— სილამაზეში კი არ არის საქმე, არამედ რეალობასა და საჭიროებაში!

ჩვენს პარტიულ ყრილობას, ჩვენს ამხანაგებს უდიდესი ისტორიული საქმე აქვთ გასაკეთებელი. რას ეტყვის იგი ყრილობა ქართველ ხალხს, რას დაავალებს თავის ახალს, არა დროებითს, არამედ მუდმივ კომიტეტს?

ჩვენ არაფერს ვწინასწარმეტყველებთ ერთი კანონი გვაქვს შუბლის ფიცარზე დაწერილი: სამშობლოს სამსახური.

ეჰ, ვის არ აქვს დღეს ეს მიზანი დასახული. ვინ სად მიდის ამისათვის, ვინ რა [illegible] არ [illegible]!

მაგრამ ჩვენ მეორე კანონი გვაქვს არა ერთხელ ფიცით დადებული ჩვენის პარტიული მუშაობით: არასოდეს არ გადავცვალოთ ეს სამშობლო ისე, როგორც კორსიკის სიყვარული გადასცვალა ლეიტენანტმა ჩინზე ნაპოლეონ ბონაპარტემ.

თედო ღლონტი,

* * *

ჩვენი ყრილობა

დღეს ჩვენთან ჩამოვა სოც.-ფედ.-თა სარ. პარტიის ყრილობაზე დასასწრებლად პროვინციელი ამხანაგები—ყრილობის დელეგატები. აქ მათ დახვდებათ ახალი სულის და ზრახვების მატარებელი მასპინძელი—დროებითი კომიტეტი და „ტრიბუნის“ ჯგუფის ამხანაგები. ჩვენი კლუბის დარბაზი პირველად იხილავს საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ ახალი განცდებით, ახალი ტკივილებით დატვირთულს დელეგატებს. პროვინციელნი ჩამოგვიტანენ, ჩვენ კი აქ დავახვედრებთ წამებული ერის დაჩაგრული მშრომელთა დაბარებულს ამბავს, მის გულის ნადებს. ყრილობა კი შეგვიმსუბუქებს ტვირთს აღებული გზის მიუდგომლად სწორი შეფასებით.

ჩვენს პარტიაში ყრილობა პირველია იგი სამაგალითო უნდა გახდეს თავის მდიდარი შინაარსით. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ნაკლები იქნება პათეტიური დეკლარაციები და აბსტრაქტული მსჯელობანი. მიზანს ყრილობა მიაღწევს მხოლოდ სინამდვილესთან ახლოს მისვლით და კონკრეტიულ ფაქტთა სფეროში საკითხების დაყენებით. რასაკვირველია ეს არ უარჰყოფს პრინციპიალ დასაბუთებას და თეორიულ ექსკურსიას. მაგრამ მე არ უნდა გადავაჭარბოთ და სამუდამოდ უარვყოთ ინტელიგენტური სკეპტიციზმი ჩვენ პარტიის ხელმძღვანელებს რომ ახასიათებდა.

რა იქნება ჩვენი ყრილობის მუშაობის დამახასიათებელი? რა მიზნები აქვს მას დღეს დასახული?

შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რამდენადაც ჩვენი ყრილობის ნაყოფიერების აუცილებელი პირობა არის. განხილვა მორიგი პრობლემებისა სოციალისტური რევოლიუციის თვალსაზრისით, რამდენად ეროვნული საკითხიც ამ პრიზმით იქმნება განხილული, იმდენად ჩვენი ყრილობა მთელს პარტიას ახალს პოლიტიკურ ლიანდაგზე გაამაგრებს.

ჩვენი გაბედული ნაბიჯებით ცხოვრების სვლას არ უნდა ჩამოვრჩეთ, რომ გაგვრიყავს რევოლიუციის ჩქარი განვითარება. სოციალისტური პოლიტიკური პარტია უწინარეს ყოვლისა მასების ავანგარდია და მაშასადამე ცხოვრების მოვლენათა დროზე ანალიზის გამკეთებელი, უტყუარი დიაგნოზის დამყენებელი.

დღეს ჩვენს წინ სდგას ორი უდიდესი საკითხი: ეროვნული და სოციალისტური მართალია ერთი მეორეს არ უარყოფს, მაგრამ ერთი მეორეს არც ფარავს. თვითეულს ამ საკითხთაგანს, განხილულს მუშათა კლასის თვალსაზრისით სპეციფიური სფეროები აქვთ, განსაკუთრებული კუნჭული აქვთ მიკუთვნებული. ჩვენში დღეს მუშათა და გლეხთა ბატონობის სახელმწიფო მკვიდრდება, მტკიცდება. ჩვენი თვალით ვუყურებთ, რომ არის ცდა, ტენდენცია მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ქვეყნის საწარმოო ძალების აღსადგენად. მაგრამ ჩვენ ვერ ვუყურებთ მუშათა და გლეხთა მეორე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წარმოებულ მუშაობას ეს გახლავთ ეროვნული საკითხი. აქ ჩვენ სულ სხვა ტენდენციას ვამჩნევთ, ვიდრე ამას მოითხოვს ქართველი მშრომელის ეროვნული ინტერესი. ჩვენს ყრილობას დასჭირდება ამ მოვლენას სათანადო ანგარიში გაუწიოს. ჩვენი ყრილობა არ იქნება იმდენად დაუკვირვებელი, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ჩაეფლას. ნაციონალური საკითხის გარდა თითქმის სხვა საკითხი არც კი არსებობდა ჩვენი პარტიისათვის წინედ. სოციალიზმი ბრძოლის ლოზუნგი არ იყო გუშინ ჩვენი პარტიისათვის; იგი უფრო აბსტრაქცია იყო და არა პრაქტიკული პოლიტიკის საფუძველი მთავარი კომიტეტისათვის. ჩვენ წინამდეგი არ უნდა დაგვემართოს. რევოლიუციონური თვალსაზრისი ყოველ ნაბიჯზე შეფარდებული უნდა იქმნას ეროვნულს ინტერესებთან. მართალია რევოლიუცია, როგორც აღვნიშნეთ ჩაგრულ ერის ინტერესებს ეთანხმება, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ზოგადი დებულებების მიხედვით არ ხდება, თუ გინდ ეს დებულება საერთოდ მართალი იყოს. რევოლიუციას აქვს კონკრეტულ პირობებთან საქმე; ამის გამო იგი სხვა და სხვა ქვეყანაში კომპილიატიურად ერთი შინაარსის მატარებელი არ არის.

ამიტომ ჩვენი ყრილობის და ჩვენი პარტიის დიდებითი, სწორი და მაშასადამე მიზანშეწონილი მუშაობა გამოიხატება ჩვენს ქვეყანაში რევოლიუციის სპეციფიკური თვისებების გაგებაში, რევოლიუციის ადგილობრივი მასალის ანალიზში.

ჩვენში რევოლიუციას ასევე კონკრეტიულ და დამახასიათებელ მხარეების შესწავლას მოითხოვს მუშათა და გლეხთა სოციალური ინტერესიც. მართალია სოციალისტური რევოლიუცია მშრომელთა სანუკვარია ობიექტიურად, მაგრამ მხოლოდ ადგილობრივი პირობების ანგარიშის გაწევით, მოქნილი და ელასტიური პოლიტიკით შეიძლება მშრომელი მასების მიმხრობა და აღმშენებლობის საქმეში ჩაბმა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს „მყოლ-ჩამყოლობას“ პოლიტიკაში, „ობივატელის“ თვალსაზრისზე დადგომას თეორიაში. ჩვენ მაინც ყოველ მიმდინარე ფაქტს სინთეტიურად შეფერებული ორი ინტერესის ეროვნულის და სოციალისტურის მიხედვით ავსწონ და ვსწონით და წვრილმან პოლიტიკანობისაგან შორს ვიქნებით.

ამ რიგად ჩვენი პარტიული ყრილობა პასუხისმგებლობის შეგნებით შეუდგება დელეგატებისგან ნაამბობის ანალიზს და მომენტის ღირსს პოლიტიკურს დიაგნოზსაც მოგვცემს.

ეფ. სახოკია.

ინტერნაციონალის საკითხი და ჩვენი პარტია

2

როგორც აღნიშნულიც გვქონდა წინა წერილში, დღევანდელს საერთაშორისო მოძრაობის პროცესში ინტერნაციონალს დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც საერთო რევოლიუციონური მოძრაობის შტაბსა და ხელმძღვანელს. დღეს ხდება ძველი სოციალური წესწყობილების ძირიანადი გარდატეხა, მისი გარდაქმნა ახალ სამართლიან საფუძვლებზე. დღეს სოციალური ბრძოლის პროცესები ხდება მთელს მსოფლიოში, ყოველ მის მნიშვნელოვან ცენტრებში. მებრძოლ მხარეთა გაბოროტებული შეტევები და დაუცხრომელი მისწრაფებანი ყოველ მხარეში მოითხოვენ ერთი მთლიანი საერთაშორისო ბრძოლის მეთოდებისა და მიზანშეწონილი გეგმის გამომუშავებას. ამ მხარეს კი უნდა უხელმძღვანელოს საერთაშორისო ორგანიზაციამ—ინტერნაციონალმა. ინტერნაციონალის საკითხი დიდი ამოცანებით იმოსება და მისი არსებობის გაძლიერებას გადამწყვეტი ღირებულება ენიჭება გართულებულს სოციალურს ბრძოლის პროცესებში. ამიტომ არ დარჩენილა არც ერთი სოციალისტური პარტია დედამიწის ზურგზე, რომელსაც ინტერნაციონალის საკითხი არ გაეხადოთ თავიანთი მსჯელობის მთავარ საგნად. ინტერნაციონალის პრობლემის გადაწყვეტა, მიმხრობა ამა თუ იმ ინტერნაციონალისა არსებითად სწყვეტს პარტიის სამოქმედო პლატფორმას და მის პრაქტიკულ სამოქმედო პოლიტიკის გეგმებსაც, ვინაიდან ინტერნაციონალი გარკვეულ პლატფორმას იძლევა სამოქმედოთ სოციალისტური პარტიებისათვის. ამიტომ ინტერნაციონალის კითხვასთან ერთად დაკავშირებულია დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობისა და პირობების გამოკვლევისა და შეფასების საკითხი.

ჩვენთვის ოთხი მთავარი კითხვის გამოკვლევა არის საჭირო, სანამ რომელიმე ინტერნაციონალთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეს შევუდგებოდეთ. მაგრამ არა მარტო ჩვენ, ყოველი პარტია იძულებული ხდება: 1) კრიტიკულად შეაფასოს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, გამოარკვიოს დიდი ომისა და რევოლიუციის მიერ შექმნილი სოციალ-პოლიტიკური პირო-

ბები საერთაშორისო მაშტაბში და ასწონდასწორის საერთაშორისო ძალთა განწყობილება. უკეთ რომ ვსთქვათ: პარტია იძულებულია გამოარკვიოს მომწიფდა თუ არა ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სოციალური რევოლუციისათვის, სოციალური კულტურის მისაღებად, თუ კაცობრიობამ ჯერ კიდევ კაპიტალისტურის გზით უნდა განაგრძოს სვლა; 2) ამ შეფასებასთან შეწონით პარტიამ უნდა შეიმუშაოს პრაქტიკულ მოქმედების გეგმა, სამოქმედო პროგრამა და რევოლუციონური ტაქტიკა და მეთოდები: თუ ცხოვრების ვითარება მოითხოვს სოციალისტური რევოლუციის განვითარებას ამ მომენტში — რევოლუციონური პოლიტიკის და ტაქტიკის გამომუშავებას, მიზანშეწონილი სოციალისტური გეგმის გამოკვეთას, თუ, წინააღმდეგ, ცხოვრება მოითხოვს ჯერ კიდევ კაპიტალიზმის გზით სვლას, საჭირო ხდება ამ მომენტთან შეწონილი დამოკიდებულების გამონახვას ამ მთავარი კითხვების და პრაქტიკულ გეგმების გამორკვევის შემდეგ პარტიისათვის სავალდებულო ხდება უფრო პრაქტიკული კითხვებისა, სახელდობრ: 3) გამოარკვიოს იდეური ნათესაური დამოკიდებულება არსებულ ინტერნაციონალებთან; რომელი მათგანი მისდგა თანამედროვე პირობებს სისწორით და გამოიმუშავა სწორი რევოლუციონური გეზი, რომელიც პარტიისათვის მისაღები და სასარგებლოა მისი პროგრამის საზრისით. 4) როგორი ურთიერთობა და კონტაქტია შესაძლებელი ამა თუ იმ ინტერნაციონალთან: შესაძლებელია თუ არა შევიდეს მასში, როგორც სრულუფლებიანი წევრი და ყოველივე მოვალეობა იტვირთოს თავის თავზე, თუ დარჩეს თანამგრძნობი, საპასუხისმგებლო მოვალეობისაგან გარეშე მდგომი.

როგორც ვხედავთ, ინტერნაციონალს საკითხის გამორკვევის დროს მთელი რიგი დიდ და საპასუხისმგებლო კითხვებისა იჩრება ჩვენს წინაშე. ეს ასეც უნდა იყოს, იმიტომ რომ ინტერნაციონალი სოციალისტური რევოლუციის შტაბია და ის სოციალისტურ პარტიას გარკვეულს პრაქტიკულს მოქმედების პლატფორმას აძლევს; ის არის მომქმედი ორგანიზაცია და არა სალაყბო, საკამათო დაწესებულება.

ჩვენს ყრილობას დიდი კითხვები აქვს გადასაწყვეტი. მან უნდა შეიმუშაოს გარკვეული შეხედულება თანამედროვე ვითარების შესახებ და ჩამოაყალიბოს მომენტთან შეწონილი რევოლუციონური გეზი პრაქტიკული პოლიტიკისა.

როგორც დღევანდელი საერთაშორისო პირობები, ომისა და რევოლუციონური მოძრაობის პროცესში შექმნილი, არის თუ არა მომწიფებული სოციალური რევოლუციისათვის შესაფერისი ნიადაგი? კითხვის ასე დაყენება, ჩვენ გვაიძულებს არსებითი ანგარიში გაუწიოთ თანამედროვე საერთაშორისო ძალთა განწყობილებას და მებრძოლ ხალხთა სუბიექტიურ მისწრაფებებს.

ჯერ კიდევ 1907 წ. კ. კაუცკი სწერდა, რომ სოციალიზმი თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ეკონომიური მოთხოვნილებას წარმოადგენ; მისი განხორციელება დამოკიდებულია მებრძოლი პროლეტარიატის სუბიექტიურ მომზადებაზე; შეცდარი არიან ის სოციალისტები რომელნიც დღეს კიდევ ფიქრობენ კაპიტალისტურ ძალთა განვითარებაზე. ეს თავისი შეხედულება კ. კაუცკიმ 1915 წ. გაიმეორა და ლენინმა რომ ობიექტიურად სოციალიზმისათვის მომზადებული არის მატერიალური პირობები, ხოლო კითხვას შეადგენს სუბიექტიური მომენტი პროლეტარიატის მომზადების შესახებ. საზოგადოთ ა. წ. „ცენტრის" მეთაურები: გილფერდინგი, ბებელი, ბაუერი და სხვები სავსებით იზიარებდნენ კაუცკის შეხედულებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე და სოციალიზმის განხორციელებას პრაქტიკულ პოლიტიკის საგნად ხდიდნენ პროლეტარიატისათვის.

ამ გვარად მეორე ინტერნაციონალის ცენტრისტულს მიმართულებას გარკვეული შეხედულება ჰქონდა შემუშავებული კაპიტალისტურ მეურნეობის ვითარების შესახებ და სოციალიზმი მისი ეკონომიურ აუცილებლობათ მიაჩნდა. სადავო ხდებოდა მხოლოდ გარდამავალ პერიოდის კითხვათა გამოკვლევა და პროლეტარიატის აქტიური ჩარევა ცხოვრების მიმდინარეობაში მისი რევოლუციონური გზით გარდასაქმნელად ახალ საფუძვლებზე. „პასიური რადიკალიზმის" თეორეტიკოსები პროლეტარიატის აქტიურ გამოსვლების საჭიროებამდე ვერ მივიდნენ და „უმოქმედო ლოდინის პოზიციებზე" (პანეკუკის სიტყვებით) მდგომნი, პასიური მაყურებელნი ხდებოდნენ დიდი საერთაშორისო მოვლენების.

საერთაშორისო ომმა არსებითად შეარყია კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლები და საერთაშორისო პროლეტარიატი ახალ მომენტების წინაშე დააყენა.

როგორია ეს მომენტები და რას მოითხოვს იგი საერთაშორისო პროლეტარიატისაგან; არის თუ არა დღეს, საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ და საერთაშორისო რევოლუციის პროცესში, სოციალიზმი როგორც აუცილებელი გზა თანამედროვე ეკონომიური ვითარების? რას მოითხოვს მომენტი პროლეტარიატისაგან კვლავ „უმოქმედო ლოდინის პოზიციებზე" დგომას, თუ რევოლუციონურს ჩარევას ცხოვრების ახალს საფუძვლებზე გარდასაქმნელად?

ხამონ ხუნდაძე

ახალი ამბები

— ქალაქის სასურსათო კომისარიატის განცხადებით ოქტომბრის 29-დან შეწყდება სიები ს განცხადებების მიღება აგვისტოს ულუფის მიღებაზე ზემოაღნიშნულ რიცხვის გვიანეს შემოტანილი განცხადებანი განხილული არ იქნება.

— **საბჭოთა მართლმსაჯულება.** 10 ოქტომბერს რევ. ტრიბუნალმა განიხილა საქმე [illegible] ეგრიელი ლოგინოვისა, რომელსაც დეზერტირობა ბრალდებოდა და დაადგინა: მიესაჯოს ლოგინოვს ჯარის სამეგრო როტაში ერთის წლით მუშაობა.

— დუშეთის, თიანეთის და ტფილისის მაზრების საზღვრებში იწვის ტყე. ცეცხლის ჩასაქრობად ტფილისიდან მივლენილია ცეცხლის მქრობელი რაზმის ინსტრუქტორი რომელმაც უნდა მოახდინოს მობილიზაცია რაიონის მცხოვრებთა დასახმარებლად. ცეცხლი მოდებულია 14 ვერსის მანძილზე.

— **ქუთაისის სახელმწიფო დრამა.** ქუთაისის ქართული დრამატიული ტრუპის რეჟისორად მოწვეულია ვ. გარრიკი, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება ქუთაისში. ქუთაისის თეატრის გამგედ დანიშნულია ვ. ბალანჩივაძე.

— **მოსავალი საქართველოში.** ცენტრალური გამგეობის ცნობით წელს შემდეგი სახე აქვს მოსავალს საქართველოში: ქუთაისის მაზ. შეუწყვეტელ წვიმების გამო მოსავალი ძლიერ დაეცა. სიმინდის მოსავალი—საშუალოზე ნაკლებია, ზოგ რაიონებში ცუდია. წვიმა და სიცივე ხელს უშლის სიმინდის დამწიფებას. ღომის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. ღვინის მოსავალი კარგია.

— რაჭის მაზრაში წვიმებია და მთიან ადგილებზე ჩამოთოვა. დადგა სიცივეები. სიმინდის მოსავალს ცუდი პირი უჩანს, კართოფილს საშუალო. ღვინოს—კარგი; საზამთრო კომპანია შეიძლება არ ჩატარდეს შესაფერისად სიცივეების გამო.

— ლეჩხუმში სიმინდის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. მთიან ადგილებში დაზიანებულია ყინვებისაგან. კართოფილისა და ღვინის მოსავალი—საშუალოა.

— ზუგდიდის მაზრაში დიდმა და შეუწყვეტელმა წვიმებმა და სიცივეებმა დიდი ზიანი მიაყენეს სიმინდისა და რამდენიმეთ ღვინის მოსავალს. სიმინდისა და ღომის მოსავალს ცუდი პირი უჩანს. კართოფილი საშუალოზე ნაკლებია, ღვინის საშუალოზე მეტი.

— **ლექცია რუსთაველზე.** ხვალ, ორშაბათს ოქტომბრის 31 (პუშკინის საზ. კითხველთა სამედიცინო საზოგადოების დარბაზი) შედგება ლექცია „შოთა რუსთაველზე" მოხსენებლად გამოდიან: პრ. ნადირაძე და 3 უშაკოვი. მოხსენების შემდეგ გაიმართება დისპუტი შემდეგი შინაარსით: პროფ. მარის და ს. კაკაბაძის შეხედულება თუ ვინ იყო რუსთაველი რელიგიის და ეროვნების მხრივ? მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა თუ მეთოთხმეტეში? აგრეთვე იქნება წაკითხული „ვეფხის ტყაოსნიდან" ნაწყვეტი რუსულ თარგმნით ნ. დისპუტში მონაწილეობენ პოეტები: რიურიკი ივნევი, იური დეგენი, ტ. გრანელი, ლ. ასათიანი, ს. ჩიქოვანი. კამათი იქნება როგორც რუსულ ისე ქართულ ენაზე. დისპუტში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან ს. კაკაბაძე და აბულაძე

— **„ბავშის კვირა" პროვინციაში.** მთავარი კომიტეტის მიერ დაგზავნილია მთელს საქართველოში დეპეშები „ბავშის კვირის" ფინანსიური ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.

— სამტრედიიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ „ბავშის კვირის" კომპანია წარჩინებულად დიდი წარმატებით ჩატარდა.

— ახალ-სენაკში და ხონში „ბავშის კვირა" დროებით გადადებულია ადგილობრივი პირობების (რთველი) გამო ხელსაყრელ მახლობელ დროისათვის.

— **მილოცვა საქ. რევკომს.** პირველი ყრილობა მუშა გლეხთა ინსპექციის პასუხისმგებელი ხელმძღვანელებისა უგზავნის სალამს საქართ. რევ. კომიტეტს. ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქ. რევკომი გადადგამს ყველა ღონისძიებებს და წაიყვანს მშრომელ მასებს ბედნიერების ტაძრისაკენ. მუშურ-გლეხური ინსპექცია, როგორც დარაჯი მუშების უფლებისა, არ დაიზოგავს თავის ძალებს სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ყრილობა გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ როგორც ცენტრი ისე ადგილობრივი წარმომადგენელნი მისი ხელისუფლებისა აღმოუჩენენ ინსპექციას ენერგიულ დახმარებას მის დიდ საქმეებში მშრომელთა სასარგებლოდ.

საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

პარტიული სამკითხველო. 30 ოქტომბრიდან ჩვენს პარტიულ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) გაიხსნება პარტიული სამკითხველო. სამკითხველომ შეიძინა სხვა და სხვა წიგნები, მათ შორის ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნებიც, წიგნები გაიცემა მხოლოდ პარტიის წევრებზე. სამკითხველოში არის რუსეთის და ჩვენი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემები. სამკითხველო ღია იქნება სა. 6—9 საათამდე.

—

დღეს, დილის 10 საათზე ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია სოც.-ფედერალის. სარევ. პარტიის სტუდენტთა საერთო კრება, სადაც უნდა აირჩეს ყრილობაზე გასაგზავნად დელეგატები. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

—

დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ველაბრის რაიონის პარტიული ამხანაგების კრება ბიუროს ბინაზე. ასარჩევია დელეგატი მომავალ ყრილობისათვის.

რუსეთი

მოსკოვი. მოსკოვში აწყობენ მეხუთე მატარებელს სურსათით დატვირთულს ჩუვაშის ოლქში გასაგზავნათ. ჩუვაში ურიცხვი წერილებით მოსკოველ მუშებს უცხადებს მადლობას.

მოსკოვი. გერმანელ და ინგლისელ მუშების თანახმად, რომ დამშეულ გუბერნიებიდან გაგზავნოთ მათთან ათასი ბავშვი სახალხო განათლების კომისარიატმა შეიმუშავა წესი ბავშვების საზღვარგარეთ გაგზავნისა. გაგზავნილი იქნება სასკოლო ასაკამდე მიუხწეველნი, განსაკუთრებით ვაჟები, გოგოები გამონაკლის მაშინ შეადგენენ, როცა დაძმათა დაშორება არ მოხერხდება. ბავშვებთან ერთად გაიგზავნება ადმინისტრატორი ზედამხედველად და რუსული ენის სასწავლებლად პარალელურად პოლიტიკური აღზრდისა.

მოსკოვი. სპარსეთის მთავრობამ ვოლგის ნაპირების დამშეულთ შესწირა 35 ვაგონი ხორბალი.

უცხოეთი

რომი. 25 იტალიის ფინანსიური ეკონომიური სააგენტოს ცნობით იტალიის მთავრობამ წინადადება მისცა ანტანტის მთავრობებს გამოაცხადოს ოქროს ერთეულად გირვანქა სტერლინგის მაგიერად დოლარი.

მოსკოვი. 27 ლონდონიდან იუწყებიან რომ ლოიდ ჯორჯი გამოვიდა სიტყვით თემთა პალატაში და შეეხო საწარმოო კრიზისთან და უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხს: პრემიერის სიტყვით ინგლისი განიცდის ისეთს მძიმე კრიზისს, რომლის მსგავსი შეიძლება მხოლოდ ნაპოლეონის ომების შემდეგ არსებულ მდგომარეობასთან. უმუშევრობასთან საბრძოლველად ინგლისის მთავრობა [illegible] დაასახლოს სხვა და სხვა ადგილას 60,000 ყოფილი ჯარის კაცი. უმუშევრებს მიეცემა 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

მოსკოვი 27 ჩეხო სლოვაკიის მთავრობამ უნგრეთის ულტიმატუმი დაუყენა რომ მან 48 საათის განმავლობაში გადაეყენებინა კარლოსი.

— ანტანტის ელჩთა კონფერენციამ წინადადება მისცა უნგრეთის მთავრობას დაუყონებლივ ჩამოაგდოს კარლოსი შეიპყრონ იგი, რომ დაეტოვებინა მას უნგრეთი ისეთ, პირობებში რომელიც გამორკვეული იქნება მოკავშირეთაგან.

ნაუენი. 26 ბუდაპეშტში უნგრეთის მთავრობისა და დიდი და მცირე ანტანტის წარმომადგენელთა შორის მოხდა თათბირი შექმნილ მდგომარეობის საკითხის შესახებ. ჩეხოსლოვაკელები დაბეჯითებით მოითხოვენ რომ ჰაბსბურგთა საკითხი იქნას ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი, რომ უნგრეთის მთავრობამ მისცეს გარანტია ასეთი ცდის შეუძლებლობისა მომავალში რომელიც უკანასკნელ დღეებში ჩაიდინა კარლოსმა.

ნაუენი 26 ჩეხო სლოვაკიამ და სამხრეთ-სლავიამ თავიანთი სათადარიგო ნაწილები იარაღ ქვეშ დააყენეს. ჯარი საომარ განწყობილებაშია მოყვანილი.

მოსკოვი. ინგლისის მუშათა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება ამ სახელწოდებით „ხელები შორს რუსეთისაგან". ამ მოწოდებაში კომიტეტი მოითხოვს იაპონიის ჯარების გაყვანას ციმბირიდან იმ მოსაზრებით, რომ მთავრობა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკისა დემოკრატიულია, მაშინ, როცა იაპონიაში მეფობს თვითმპყრობელობა და იაპონიის მთავრობა დახმარებას უწევს კონტრ-რევოლუციონერებს რესპუბლიკანური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ მოუწოდებთ ბრიტანეთის მთავრობას არ განაახლოს ინგლის-იაპონიის კავშირი დაჟინებით მოვითხოვთ ვაშინგტონის კონფერენციაზე დათმობილი იქნეს ადგილი შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას იაპონიას თანაბარი უფლებებით; ჩვენ აგრეთვე დაჟინებით მოვითხოვთ ყოველივე შენიშვნების გარეშე იაპონიის ჯარების ევაკუაციას კონფერენციის გახსნამდის. კომიტეტი მოუწოდებს დიდი ბრიტანეთის ტრედიუნიონებს, რომ მათაც გამოიტანონ შესაფერისი რეზოლიუცია.

მოსკოვი 28 ოქტომბერი. როგორც კი ბალახოვიჩს დართეს ნება პოლონეთში დარჩენისა, ვიცე მინისტრმა დომბსკიმ, რომელმაც ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთთან დადებულს ხელშეკრულებას, მოვალეობის ასრულებიდან გადადგა.

— ჩეხო სლოვაკია მცირე ანტანტის სახელით მოითხოვს საბოლოოთ გადაჭრას ჰაბსბურგთა საკითხისას და უნგრეთის მიერ აუცილებლათ შესრულებას სამშვიდობო ხელშეკრულებისას. შვეიცარიის პრესა ერთსულოვნურად აცხადებს რომ დღეიდან ლაპარაკიც არ შეიძლება კარლოსის შვეიცარიაში დაბრუნებაზე.

მოსკოვი. 28 ოქტომ. ბერლინიდან იუწყებიან რომ პრეზიდენტ ებერტს არ ძალუძს ახალ მთავრობის შედგენა. ყველა ბურჟუაზიული პარტიები და შეთანხმებლები ყოველდღე თათბირობენ, მაგრამ მათ ვერ შეძლეს შეთანხმების მიხწევა იმ კითხვებზე, რომელიც სდგანან გერმანიის წინაშე.

მოსკოვი. 28 ოქტომბერი, ბერლინიდან იუწყებიან რომ ახალი გერმანული კაბინეტის შემადგენლობაში შედიან შემდეგნი პირნი: რეიხკანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი—ვირტი. ფინანსთა მინისტრი მეუმრავლესე სოციალისტი ბაუერი. საშინაო საქმეთა მინისტრი მეუმრავლესე სოციალისტი კესტერი, შრომის მინისტრი ცენტრის პარტიის წევრი ბრაუნი სასურსათო და დროებით აღმასრულებელი ფინანსთა მინისტრის თანამდებობისა ცენტრის პარტიის წევრი გერმესი. ეროვნული მეურნეობის მინისტრი — დემოკრატი გესლერი. გზათა მინისტრი—დემოკრატი გრენერი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ცენტრის პარტიის წევრი გისბერტსი. სახალხო მეურნეობის მინისტრი მეუმრავლესე სოციალისტი შმიდტი. იუსტიციის მინისტრი მეუმრავლესე სოციალისტი რადბრუხი.

უნგრეთის [illegible] ბამ გადაწყვიტა [illegible] კარლოსის ავანტიურის [illegible] ამბობს, რომ საფრანგეთი ემხრობა კარლოსს.

— **ჩეხთა მუშების პოზიცია.** 22 ოქტომბერს მოხდა კრება ჩეხთა პროლეტარიატის პოლიტიკურ პროფესიონალურ ორგანიზაციებისა კრებამ გამოუშვა მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია: „პროლეტარიატი უნდა გამოვიდეს კარლოსი უნდა იქნას გასამართლებული ყველა თავისი ბოროტმოქმედებისათვის დეე ჩეხის მთავრობამ მოინდომოს რაც სურდეს, მაგრამ პროლეტარიატი ვერ მიიღებს პასუხისმგებლობას მის, მოქმედებისას და გარდაწყვეტილობისას ცხადია რომ კარლოსი არ მოუწყვია გადატრიალება ანტანტის დაუკითხავად ამასთან საეჭვოა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ამ საქმეში განზე იდგეს. მანიფესტი თავდება მოწოდებით რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და ყველა მუშებისადმი მოაწყონ სრული ბლოკადა უნგრეთისა.

ავანტიურის დასასრული. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გადაასახლონ ყოფილი იმპერატორი კარლოსი კანარის კუნძულზე. შვეიცარიის საბჭომ დაადგინა გაძევება შვეიცარიიდან ჰაბსბურგის ოჯახის ყველა წევრები და მისი მომხრეები.

— ჩეხთა პარლამენტში ჩეხიის და გერმანიის კომუნისტური პარტიის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ უნგრეთის ავანტიურა წარმოადგენს დიდ საშიშროებას მთელი მუშათა ევროპისათვის. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პროლეტარიატი დაეხმარება ავსტრიის მუშებს მონარქიზმთან ბრძოლაში.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის „ტრიბუნას" № 58 მოთავსებულია ანგარიში „სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირისა" და სია იმ მწერალთა, რომლებიც შედიან ამ ახალ კავშირში. რადგანაც ამ სიაში ჩემი გვარიც არის ნახსენები, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განმარტება: მწერალთა კონფერენციას მე არ დავსწრებივარ. მე არც ის ვიცი, რატომ მოხვდა გამოცხადება იმ ჯგუფის, რომელიც თავის თავს „ახალი მწერლობის „კავშირს" უწოდებს. არ დავსწრებივარ აგრეთვე თვით ამ „ახალი მწერლობის კავშირის" ყრილობას და მხოლოდ ახლა გავიგე რომ ასეთ რამეს ჰქონდა ადგილი.

სრულიად საკმაოდ მიმაჩნია, რომ „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის" წევრი ვარ და არავისთვის არ მითქვამს სურვილი კიდევ ახალ საზოგადოებაში ჩაწერისა.

შ. ამირეჯიბი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

სახელმწიფო დრამატ. თეატრი და ქართველი ხალხი ამით აცნობებენ საზოგადოების საყურადღებოთ რომ კვირას ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია ქაშვეთის ეკლესიაში ნახევარი წლის პანაშვიდი

კონსტანტინე დიმიტრის ძის
ყიფიანის
სულის მოსახსენებლად. 50

მიხაკო იულიონის ძე კალანდაძე აცნობებს ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 30 ოქტომბერს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის

მარო მოსე დოლიძის ასულის
კალანდაძის
სულის მოსახსენებლათ.

საქართველოს ფ.-ტ. კომისარიატი
აცხადებს

რომ 20 ნოემბერს დილის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში (ტფილისის ქუჩა) ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ქუთაის-ონსა-ქუთაის-ხონის შორის და ქუთაისის ფ.-ტ. კანტორიდან სადგურამდე და უკან ფოსტების გადაზიდვის იჯარით გასაცემად. უკანასკნელ პუნქტებ შორის ფოსტის გადაზიდვის აღებს დღევალება აგრეთვე ქალაქში საფოსტო ყუთების გაწმენდა.

ხონისა და ონის მიმართულებით გაიგზავნება (უკან დაბრუნებით) ფოსტა-კვირაში ორჯერ, მხოლოდ ქუთაის სადგურ შორის იქნება გადაზიდული ყოველ დღე.

ამღებთ შეუძლია ფოსტა გადაზიდოს როგორც ცხენებით ისე ავტომობილებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გირაოს წარმოდგენა ფულად ან უძრავი ქონების საბუთებით. განცხადება იჯარის პირობების შესახებ მიიღება ფ.-ტ. კომისარიატში, და აგრეთვე ქუთაისის, ხონის, ონის, ცაგერის, ალპანის, მექვენის, ლაილაშის, ჭრებალოს და ცესის ფ. ტ. დაწესებულებაში.

ფ.-ტ. სახკომისრის მოად. მაგ. წერეთელი.
განყოფ. გამგე ცაგარეიშვილი.

ტირაჟი 1000
სტამბა „ხელოვნების სახლი" [illegible] ქ. 14.
ნ. დ. ს. მ.